

2016 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის
საკითხებში საქართველოს სახელმწიფო
მინისტრის აპარატი



შესავალი.....	3
I. ოკუპირებული ტერიტორიები.....	3
1.1. აფხაზეთის რეგიონსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელება	5
1.2. ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრები.....	6
1.3. ევროკავშირის ჩართულობა და ევროინტეგრაცია	8
1.4. ჩართულობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია	9
1.4.1. ჯანდაცვა	9
1.4.2. განათლება	11
1.4.3. სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივები	12
1.4.4. კულტურული მემკვიდრეობა.....	12
1.4.5. ნეიტრალური დოკუმენტები	13
1.4.6. საკოორდინაციო მექანიზმი.....	13
1.4.7. ევროსაბჭოს პროექტები	13
1.5. დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის კომუნიკაცია.....	14
1.6. გამყოფი ხაზით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა და დონორთა დახმარება	15
II. სამოქალაქო თანასწორობა და ინტეგრაცია	17
2.1. სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა.....	18
2.2. მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა	19
2.3. გენდერული მენისტრიმინგი	19
2.4. მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა	20
2.5. განათლება და სახელმწიფო ენა.....	20
2.5.1 უმაღლესი განათლება	20
2.5.2 პროფესიული განათლება	202
2.5.3 სახელმწიფო ენა.....	202
2.6. სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია	23
2.7. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.....	24
2.8. საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ	25
2.9. საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება	26

შესავალი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის კომპეტენციაში შედის ორი ძირითადი მიმართულება - შერიგების, ნდობის აღდგენის, ჩართულობის პოლიტიკის ხელშეწყობა/განხორციელება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება; ასევე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა, თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფა. სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფუნქციას წარმოადგენს ზემოაღნიშნული მიმართულებებით სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა, კოორდინაცია და იმპლემენტაცია.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, საქმიანობას ახორციელებს სხვა სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო მთავრობათაშორის ორგანიზაციებთან და საერთაშორისო თუ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო პარტნიორობით.

I. ოკუპირებული ტერიტორიები

2008 წლიდან მოყოლებული რუსეთის ფედერაციას, სოხუმსა და ცხინვალს შორის გაფორმდა 250-ზე მეტი სხვადასხვა უკანონო შეთანხმება, მათ შორის, 2015 წლის 18 მარტს ცხინვალთან გაფორმებული ე.წ. შეთანხმება „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“, ასევე სოხუმთან 2014 წლის 24 ნოემბერს გაფორმებული ე.წ. „შეთანხმება მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების დე ფაქტო ანექსიას.

ასევე, გრძელდება მავთულხლართების და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვა და განგრძობითი ოკუპაცია, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ანექსია. რუსეთი აგრძელებს ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაციას, რეგულარულად ახორციელებს უკანონო სამხედრო წვრთნებს.

აფხაზეთის რეგიონის მიმართულებით 2016 წლის აპრილში საოკუპაციო რეჟიმმა გამყოფ ხაზზე არსებული ორი გამშვები პუნქტი - ლეკუხონა და თავილონი - გააუქმა. ასევე, განაცხადა 2017 წლის დასაწყისში კიდევ ორი გამშვები პუნქტის - ხურჩას და ოტობაიას - დახურვის შესახებ, რაც წარმოადგენს ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას. აღნიშნული გადასასვლელების დაკეტვის განზრახვის აღსრულებაში მოყვანა კიდევ უფრო გაართულებს ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონის მიმართულებით გადაადგილების თავისუფლებას, ადამიანთა შორის ურთიერთობებს,

სავაჭრო კავშირებს, განათლებისა და სხვადასხვა სახელმწიფო სერვისებისადმი წვდომის შესაძლებლობას და უკიდურესად დაამძიმებს ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობას.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადგილი აქვს ადამიანის უფლებების სისტემატურ უხეშ დარღვევებს, მათ შორის გადაადგილების თავისუფლების, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, უსაფრთხო გარემოში ცხოვრების, საკუთრების უფლების, სოციალური და სხვა სერვისებისადმი წვდომის და სხვა უფლებების ხელყოფას, რაც ქმნის რთულ ჰუმანიტარულ ვითარებას. განსაკუთრებით რთული მდგომარეობა არის გალის რაიონში, სადაც გრძელდება მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია. გალის რაიონში ქართულ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვა, არ ფუნქციონირებს ქართულენოვანი საბავშვო ბაღები; საშუალო სკოლებში წლების განმავლობაში ქართულ ენაზე სწავლება ჩანაცვლდა რუსული ენით.

2016 წელს განსაკუთრებით მწვავედ დადგა გალის რაიონში მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების ხელყოფის საკითხი. წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ქართული სკოლების რუსულად გარდაქმნა, ხოლო 2016-2017 სასწავლო წლიდან ქართულ ენაზე სწავლება აიკრძალა გალის რაიონის ამ დრომდე არსებულ 11 ქართულ სკოლაში, რაც წარმოადგენს ე.წ. რუფიკაციის პოლიტიკის გაგრძელებას. იმავდროულად, გალის რაიონში არ ფუნქციონირებს ქართულენოვანი საბავშვო ბაღი, რაც არის გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების უხეში დარღვევა. დაწესებული შეზღუდვების გამო მოსწავლეების რაოდენობა, რომლებიც საოკუპაციო ხაზს კვეთენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე საშუალო განათლების მისაღებად საგრძნობლად შემცირებულია.

არსებულ ვითარებაში განსაკუთრებით პრიორიტეტულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა უფლებების დაცვა, მათთვის აქტუალური ყოფითი და ჰუმანიტარული საკითხების მოგვარება. მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს გადაადგილების თავისუფლების, მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური დაბრკოლებების შედეგად სამეურნეო მიწებსა და სავარგულებზე, ასევე სამედიცინო და სხვა სერვისებიდან წვდომის, ნათესავებთან და გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ ადამიანთა შორის კონტაქტის უზრუნველყოფის და ჰუმანიტარული ხასიათის პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, რაც თავის მხრივ, დეოკუპაციისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისაკენ მიმართული ერთიანი სტრატეგიის ნაწილია.

მნიშვნელოვანია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ რეზოლუციის მზარდი მხარდაჭერა. საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა მიმართულია რეზოლუციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისკენ და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უზრუნველყოფისკენ.

1.1. აფხაზეთის რეგიონსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელება

კონფლიქტების მოგვარების სფეროში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ამოცანას წარმოადგენს შერიგების, ნდობის აღდგენისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მეტი ჩართულობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რისთვისაც საქართველოს მთავრობამ მშვიდობიანი, ღია, პრაგმატული და კონსტრუქციული კურსი აირჩია, რაც გამყარებულია ძალის არგამოყენების საერთაშორისო ვალდებულებით (2010 წელს საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა ევროპარლამენტში / საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 7 მარტის და 2016 წლის 29 დეკემბრის რეზოლუციები).

საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულია აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან ნდობის აღდგენის და პირდაპირი დიალოგის საკითხი. საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა მთელი რიგი ცალმხრივი ნაბიჯები, რომლებიც მიზნად ისახავს, წლების განმავლობაში შექმნილი გაუცხოვების შემდეგ, გაჩნდეს ნდობის აღდგენისა და გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის კონკრეტული პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობები.

გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს მშვიდობისა და განვითარებისათვის სივრცის შექმნისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის მიზნით, რომელთაც მავთულხლართებისა და ხელოვნური გამყოფი ხაზების მიმდებარედ რთულ ვითარებაში უწყვეტ ცხოვრება. აღნიშნული მოსახლეობის პრობლემებზე რეაგირების მიზნით, 2013 წლიდან ფუნქციონირებს უწყებათშორისი სამთავრობო კომისია, რომელსაც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ერთად თანათავმჯდომარეობს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო. კომისიის ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ მოსახლეობის ადგილზე დამაგრებისათვის განახორციელა როგორც საბიუჯეტო სახსრების, ასევე საერთაშორისო პარტნიორების დახმარების მობილიზება. მინდინარეობს და ასევე იგეგმება ზემოხსენებული რეგიონების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული არაერთი პროექტის განხორციელება.

საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევით და საერთაშორისო ორგანიზაციების უშუალო ჩართულობით (UNDP, UNHCR), 2016 წელს განხორციელდა ენგურის ხიდის რეაბილიტაცია, ასევე, რვაწლიანი პაუზის შემდეგ ენგურის ხიდზე ამოქმედდა სამგზავრო ავტობუსი. შედეგად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელი პირები შეძლებენ ტრანსპორტით უსასყიდლოდ მგზავრობას.

სახელმწიფოს ღია პოლიტიკის შედეგად გაჩნდა გადაადგილების ზრდის პოზიტიური ტენდენცია, განსაკუთრებით სახელმწიფო სერვისების მიღების მიზნით. მაგალითისთვის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან სამედიცინო დახმარების მიღების მსურველთა რიცხვი წინა წლებთან შედარებით გასამმაგდა. უფასო ჯანდაცვის მომსახურება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის ისევე, როგორც განათლების შესაძლებლობები საქართველოს

დანარჩენ ტერიტორიაზე, მთავრობის ჩართულობის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, რაც წარმატებით ხორციელდება.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა და სხვა პრობლემური საკითხები მუდმივად განიხილება სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატებში და ფორუმებზე. ამ მხრივ რეგულარულად მიმდინარეობს კონსულტაციები საერთაშორისო პარტნიორებთან და ორგანიზაციებთან, მათ შორის ევროკავშირთან, აშშ-სთან, ჟენევის მოლაპარაკებების სხვა თანათავმჯდომარეებთან და საერთაშორისო საზოგადოებასთან.

1.2. ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრები

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მეორე სამუშაო ჯგუფს, სადაც განიხილება საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილების საკუთარ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების და ასევე სხვა ჰუმანიტარული საკითხები. საანგარიშო პერიოდში გაიმართა ჟენევის დისკუსიების ოთხი რაუნდი.

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატის ფარგლებში ქართული მხარის მიერ განიხილებოდა ისეთი საკითხები, როგორიც არის:

- ძალის გამოყენებლობა, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნება;
- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები;
- საოკუპაციო ხაზებზე ადამიანების თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა/აკრძალვა;
- მავთულხლართებისა და სხვა ბარიერების აღმართვის პროცესით შექმნილი პრობლემები;
- მკვლელობის, გატაცების, გამოძალვისა და სხვა კრიმინალური შემთხვევები;
- მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვა;
- რეგიონში არსებული სიტუაცია;
- უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიება;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.
- ე.წ. გამშვები პუნქტების დახურვა.
- ბავშვთა უფლებების დარღვევა

ქენევის საერთაშორისო დისკუსიების ჰუმანიტარულ ჯგუფში ბოლო რაუნდების განმავლობაში განსაკუთრებით პრიორიტეტულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური ქართველებით დასახლებულ რაიონებში არსებული მდგომარეობა. ამ თვალსაზრისით ყველაზე მოწყვლადი სწორედ გალისა და ახალგორის მოსახლეობაა.

საქართველოს დელეგაციისათვის გალში მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვის საკითხი განხილვის ერთ-ერთი უმწვავესი თემაა. მიიღება ყველა საჭირო ზომა საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირების და მხარდაჭერის მოპოვების კუთხით. ქართული დელეგაციის დღის წესრიგის ძირითადი თემა, ადამიანის უფლებების დარღვევის სხვა ფაქტებთან ერთად, არის ქართულ/მშობლიურ ენაზე განათლების მიღების საკითხი, რაც სწორედ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის პროცესის გამოვლინებაა.. საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით აქტიურად გაგრძელდება მუშაობა აღნიშნული ფუნდამენტური უფლების უზრუნველყოფის მიზნით.

ამასთან, ქენევის საერთაშორისო დისკუსიებზე გრძელდება ისეთი საკითხების განხილვა როგორც არის: გარემოს დაცვის, სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფის, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების და სხვა ყველა ის საკითხი, რაც მოსახლეობის ყოველდღიურ საჭიროებებს უკავშირდება. აღნიშნული საკითხების ირგვლივ მიმდინარეობს მუშაობა და გარკვეული თანამშრომლობა, რაც ქართული მხარის კონსტრუქციული და ჰუმანიტარული მიდგომების პირობებში, ასევე საერთაშორისო პარტნიორების აქტიური მხარდაჭერით, გაგრძელდება და განვითარდება.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი სისტემატურად არის ჩართული ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) მუშაობაში. სამ კვირაში ერთხელ აპარატის წარმომადგენლები ესწრებიან ერგნეთში გამართულ შეხვედრებს. ხოლო 27 მაისიდან, ოთხწლიანი პაუზის შემდეგ აღდგა აღნიშნულ მექანიზმის შეხვედრები გალის მიმართულებით. პირველი შეხვედრაზე განხილული იქნა სოფელ ხურჩაში 19 მაისს საოკუპაციო ხაზზე განლაგებული ე.წ. „მესაზღვრეების“ მიერ საქართველოს მოქალაქის, აფხაზეთის რეგიონიდან დევნილი გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საკითხი.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე განიხილება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის სხვადასხვა ფაქტები. ამ მხრივ აღსანიშნავია ადგილობრივი მოსახლეობის უკანონო დაკავება და დაპატიმრება გამყოფი ხაზის ე.წ. ”უკანონო გადაკვეთის” ბრალდებით. გარდა ამისა, IPRM-ის შეხვედრებზე დასმულ საკითხებს შორის არის ყაჩაღობის, ძალადობის, სხვადასხვა სამუშაოზე უსასყიდლოდ იძულებით გაყვანის, თანხის გამოძალვის მიზნით გატაცების, მკვლელობისა და ქონების მისაკუთრების შემთხვევების განხილვა და შეძლებისდაგვარად მოგვარება.

ეფექტიანი კომუნიკაციის შედეგად, საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ნდობის აღდგენის პოლიტიკის ფარგლებში, 2016 წლის 10 მარტს ცხინვალსა და სოხუმის ციხეებში უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს 14 მოქალაქე გამოყვანილ და გაცვლილ იქნა იმ 4 ეთნიკურად ოს პატიმარში, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. სახელმწიფო მინისტრის აპარატი რამდენიმე თვის მანძილზე უშუალოდ იყო ჩართული აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებების პროცესში. მიღწეული შეთანხმება გახდა პირდაპირი დიალოგის წარმატებული მაგალითი.

1.3. ევროკავშირის ჩართულობა და ევროინტეგრაცია

სამშვიდობო პოლიტიკის მხარდაჭერის და ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან. ამ მხრივ სახელმწიფო მინისტრის აპარატი მნიშვნელოვან როლს ასრულებს არაერთ საერთაშორისო ფორმატში, რომლებშიც რეგულარულად იღებს მონაწილეობას.

ბოლო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ამოცანას წარმოადგენს უზრუნველყოს ევროინტეგრაციის პროცესით წარმოქმნილი სარგებელის ხელმისაწვდომობა ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობისათვის.

კონფლიქტის მოგვარების ნაწილში ასოცირების დღის წესრიგი ითვალისწინებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის კონფლიქტის გადაწყვეტისა და ჩართულობის მექანიზმების ერთობლივ შემუშავებას, კონსულტაციების გამართვას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავების პროცესში ჩასართავად გზების მოძიების მიზნით. ევროკავშირი მხარს უჭერს ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელებას, ხალხთა შორის კონტაქტების გაღრმავების მხარდაჭერას და ადგილობრივი ინიციატივების წახალისებას.

საანგარიშო წლის დეკემბერში გაიმართა ასოცირების საბჭოს მორიგი სხდომა, სადაც განხილულ იქნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა, მიმდინარე გამოწვევები და პრობლემური საკითხები, აგრეთვე ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელება, კერძოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის გაწეული დახმარება, მიმდინარე პროექტები და შეთავაზებული სარგებელი.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული გამოწვევების ფონზე, ხელი შეუწყოს ადგილზე ევროკავშირის უწყვეტ ჩართულობას არაღიარების პოლიტიკის ერთიანი ქოლგის ქვეშ.

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, პრაქტიკულად ყოველდღიურ რეჟიმში, აწარმოა კონსულტაციები საერთაშორისო ორგანიზაციებთან მათი ჩართულობის შენარჩუნებისა და გაძლიერების მიზნით, მიუხედავად იმ დიდი ზეწოლისა და შეზღუდვებისა, რომელსაც ისინი

აწყდებიან ამ ტერიტორიებზე შესვლისა და საქმიანობის კუთხით. საყურადღებოა, გასული ოთხი წლის განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ოკუპირებული რეგიონების თემატიკაზე წამოწყებული დამატებითი 213 პროექტი.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესით, მათ შორის ასოცირების შეთანხმებით, შექმნილი სარგებელი ხელმისაწვდომი გახადოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის გრძელვადიან პერსპექტივაში. ამ მხრივ ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღების რეალური პერსპექტივა წარმოადგენს ევროინტეგრაციის კიდევ ერთ ხელშესახებ სარგებელს, რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის.

ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის წარმომადგენლებისათვის საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესზე ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად იყო ჩართული ევროინტეგრაციის საკითხთა ინფორმაციისა და კომუნიკაციის შესახებ მთავრობის სტრატეგიის განხორციელებაში. სახელმწიფო მინისტრის აპარატის განხორციელებულ ღონისძიებებს შორის არის: ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების თაობაზე საინფორმაციო რგოლების მომზადება, მათ შორის აფხაზურად და ოსურად; ასევე ამავე ენებზე მომზადდა და გავრცელდა შესაბამისი საინფორმაციო ბუკლეტები. ევროკავშირის დახმარებით მომზადდა საინფორმაციო ვიდეოები ვიზა ლიბერალიზაციის, ასოცირების შესახებ ხელშეკრულების და განათლების შესაძლებლობების შესახებ ქართულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

1.4. ჩართულობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია

საქართველოს მთავრობა მოწოდებულია, ოკუპირებული ტერიტორიების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის - მოსახლეობა სარგებლობდეს იმ უფლებებითა და პრივილეგიებით, რაც ხელმისაწვდომია საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის. ამ მიზნით გაგრძელდა ჩართულობის სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

1.4.1. ჯანდაცვა

ჯანდაცვის უფასო მომსახურება წარმოადგენს ჩართულობის სტრატეგიის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მიმართულებას. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები სარგებლობენ სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამით, რომელთა შორის უმთავრესია „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამა. მასში მონაწილეობის მისაღებად ოკუპირებული რეგიონების მცხოვრებნი განცხადებით მიმართავენ სახელმწიფო მინისტრის აპარატს, რომელიც თავის მხრივ, შუამდგომლობას უწევს მათ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. სახელმწიფო ცდილობს, აღნიშნული პროგრამა

მაქსიმალურად დაცული იყოს ბიუროკრატიისაგან. ბოლო პერიოდის განმავლობაში უფასო სამედიცინო მომსახურებით ორი ათასზე მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა.

მიუხედავად მავთულხლართებისა და გამყოფ ხაზზე გადაადგილების მაქსიმალური შეზღუდვისა, 2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ცხინვალის რეგიონიდან მკურნალობის მსურველთა რაოდენობა. მკურნალობის მსურველთა 70% დანარჩენ საქართველოში ჩამოდის ლარსის გამშვები პუნქტიდან, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც მათ სიცოცხლის რისკის ფასად მავთულხლართებისა და საოკუპაციო რეჟიმის გვერდის ავლით უხდებათ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა. ამასთანავე, რამდენჯერმე გაზრდილია აფხაზეთის რეგიონიდან გადმოსულ რეფერალურ პროგრამაში ჩართულ პაციენტთა რაოდენობა. საერთო ჯამში, ბოლო პერიოდის განმავლობაში მზარდი დინამიკა შეინიშნება. 2013 წლის თებერვალში საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული საყოველთაო დაზღვევის პროგრამა გავრცელდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები, ნეიტრალური დოკუმენტების მფლობელი მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფზე.

გაგრძელდა 2015 წლის აპრილში ამოქმედებული C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რომელშიც ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების ინიციატივით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებმა მოქალაქეებმაც შეძლეს მონაწილეობის მიღება. ეს არის დამატებითი სიკეთე, რაც ძვირადღირებული მკურნალობის უფასოდ შეთავაზებას გულისხმობს და პირდაპირ უკავშირდება ათასობით ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებას. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია როგორც აფხაზეთის, ისე ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში დასასრულს უახლოვდება მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესი, რათა მაქსიმალურად გამარტივდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების ამ პროგრამაში ჩართვის პოცედურები.

აფხაზეთის რეგიონში მცხოვრებ მოქალაქეებს გაეროს განვითარების პროგრამის ქვეშ მოქმედი და ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში შექმნილი „საკოორდინაციო მექანიზმის“ მეშვეობით რეგულარულად მიეწოდება სხვადასხვა მედიკამენტები და ვაქცინები, რომელთა თვითღირებულება წელიწადში დაახლოებით 500 000 ლარზე მეტს შეადგენს.

საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით აფხაზეთის რეგიონს გადაეცემა სასწრაფო დახმარების მანქანები, სამედიცინო ინვენტარი, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულების ნივთი.

2016 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ჯანდაცვის მომსახურებაზე დახარჯული თანხების ოდენობამ შეადგინა 5,782,504.96 ლარი (2013-2016 წწ. განმავლობაში ამ თანხამ 14 მლნ. ლარს გადააჭარბა).

ჯანდაცვის მომსახურების მიღების გამარტივების მიზნით, საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს, ზუგდიდთან, სოფ. რუხში მიმდინარეობს 220-ადგილიანი მრავალპროფილიანი, თანამედროვე

ტექნოლოგიით აღჭურვილი, საერთო საცხოვრებლის მქონე საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა, რომელიც თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდისა და სხვა ქალაქების საავადმყოფოების გარდა დამატებით მოემსახურება ოკუპირებული რეგიონების მცხოვრებთ.

1.4.2. განათლება

საქართველოს მთავრობა ძალისხმევას არ იშურებდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის საქართველოში განათლების მიღების შესაძლებლობის წახალისების, საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისათვის შესაბამისი მექანიზმებისა და პროცედურების შექმნისა და ერთობლივი კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისათვის.

ამ მიზნით, საქართველოს მთავრობა ახორციელებს სპეციალურ “1+4” პროგრამას, რომელიც საშუალებას აძლევს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს ჩაირიცხოვნ და ისწავლონ ქვეყანაში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამარტივებული პროცედურების საფუძველზე.

2015-2016 და 2016-2017 სასწავლო წწ. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან (გალის რაიონი და კოდორის ხეობა) სახელმწიფომ დააფინანსა 187 სტუდენტის სწავლა, ასევე კვლავ გაგრძელდა გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის დაფინანსება.

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შეიმუშავა ოკუპირებული ტერიტორიების შიგნით მიღებული განათლების აღიარების პროცედურების გამარტივების ინიციატივები, რომელთა განხილვა განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. წარმოდგენილი ცვლილებები შეამცირებს ტექნიკურ დაბრკოლებებს და გზას გაუხსნის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს სწავლის გასაგრძელებლად დანარჩენ საქართველოში ან/და საზღვარგარეთ. კერძოდ, იგეგმება ცვლილებების შეტანა „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 1 დეკემბრის N1067 ბრძანებაში. ცვლილებების თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს უმაღლესი განათლების აღიარების თაობაზე სათანადო განაცხადი შეუძლიათ წარადგინონ ონლაინ, მათ შორის აფხაზურ ენაზე, ან საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით. საერთაშორისო ორგანიზაციას ასევე ეძლევა შესაძლებლობა ჩაერთოს აღიარების პროცედურაში და დაინტერესებული პირის სახელით წარმოადგინოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც იძლევა განათლების აღიარების შესაძლებლობას დანარჩენ საქართველოში მგზავრობის გარეშე. გარდა ამისა, უქმდება საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის წარმოდგენის ვალდებულება.

2014 წლის მაისში საქართველოს პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში შეიქმნა განათლების საერთაშორისო ცენტრი, რომლის მიზანია ქვეყნის მოსახლეობისათვის, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისათვის, ევროპისა და აშშ-ის წამყვან უნივერსიტეტებში სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების შესაძლებლობის მიცემა. როგორც

აღნიშნა, ცენტრი განაცხადს იღებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები პირებისაგანაც და განიხილავს დაფინანსების შესაძლებლობებს.

იმავდროულად, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად მუშაობს სხვადასხვა მექანიზმებისა და პროცედურების განვითარებაზე, რაც კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებელი სტუდენტებს ისარგებლონ საერთაშორისო გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამებით და მიიღონ განათლება საზღვარგარეთ, წამყვან ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებში.

1.4.3. სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივები

სოფ. რუხში გაიხსნა სავაჭრო კომპლექსი, რაც წახალისებს ვაჭრობას საოკუპაციო ხაზის გასწვრივ. სავაჭრო ცენტრში განთავსებულია საცალო და საბითუმო მაღაზიები, ავეჯისა და ტექნიკის მაღაზიები, ჰიპერმარკეტი, აგრარული ბაზარი, იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრი, საფინანსო და საბანკო მომსახურების ობიექტები, ავტოსერვისი, ფოსტა და აფთიაქი. ვაჭრობის მიზნით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ძალიან ბევრი მოქალაქე მიდის თბილისში, ქუთაისსა და ზუგდიდში. მთავრობის მიზანია მოახდინოს მათი წახალისება დამატებითი სავაჭრო შესაძლებლობების შექმნის გზით.

მიმდინარეობს მუშაობა ინიციატივებზე, რათა ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობისთვის შეთავაზებულ იქნას დამატებითი სოციალურ-ეკონომიკური დახმარება.

1.4.4. კულტურული მემკვიდრეობა

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ქართული კულტურულ-ისტორიული და რელიგიური მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობა ყოველდღიურად მძიმდება. გრძელდება უძველესი, ძირითადად ქართული ნიმუშების მიზანმიმართული განადგურება და მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესია-მონასტრების ახალი - არაქართული სტილის ტაძრებით შენაცვლება.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოამზადა დოკუმენტები ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ქართული კულტურულ-ისტორიული და რელიგიური მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის და აფხაზეთში „შავი არქეოლოგიის“ შესახებ. აღნიშნული მასალები გაეგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროს. კულტურული ძეგლების ნუსხა განისაზღვრა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ, ხოლო UNESCO-სთან შემდგომი მოლაპარაკებები წარიმართა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი არაერთხელ წარსდგა ანგარიშით საქართველოს პარლამენტის კომიტეტების წინაშე ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის თაობაზე.

1.4.5. ნეიტრალური დოკუმენტები

ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია სტატუს ნეიტრალური სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ამ ეტაპზე ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი აღიარებულია 12 სახელმწიფოს, მათ შორის 9 ევროკავშირის წევრი ქვეყნის მიერ.

1.4.6. საკოორდინაციო მექანიზმი

საკოორდინაციო მექანიზმი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს თბილისსა და სოხუმს შორის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხზე არაფორმალური კომუნიკაციისა და მნიშვნელოვანი გზავნილების გაქდერებისთვის. ამგვარი გზავნილები შესაძლებელია მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ) ჰუმანიტარულ საჭიროებებს, მიმდინარე ან დაგეგმილ საერთაშორისო პროექტებზე ინფორმაციის მიწოდებას, საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, ა.შ. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკოორდინაციო მექანიზმი უზრუნველყოფს აფხაზეთის რეგიონისთვის სხვადასხვა მედიკამენტების, ვაქცინების და სამედიცინო ტექნიკის რეგულარულ მიწოდებას.

2016 წლის ზაფხულში, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, საკოორდინაციო მექანიზმის მეშვეობით ოკუპირებულ ტერიტორიაზე კოლხური ბზის გადარჩენისა და შენარჩუნების მიზნით აფხაზეთის რეგიონისთვის გადაცემულ იქნა პიკაპის ტიპის ავტომობილი მასზე დამონტაჟებული შესაშურებელი მოწყობილობითა და 700 ლიტრი შესაშურებელი ხსნარით.

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აფხაზეთის რეგიონს აგრეთვე გადაეცა ულტრაბგერითი გამოკვლევის აპარატი.

1.4.7. ევროსაბჭოს პროექტები

სახელმწიფო მინისტრის აპარატთან მჭიდრო თანამშრომლობით და საკოორდინაციო მექანიზმის ჩართულობით, 2016 წლის განმავლობაში ჩატარდა ევროპის საბჭოს ნდობის აღდგენის არაერთი პროექტი, რომლებიც ითვალისწინებს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის შეხვედრებს ნეიტრალურ ტერიტორიებზე:

- ტრენინგი ქალთა გაძლიერების საკითხებში ქართველი და აფხაზი ქალების მონაწილეობით;
- ევროპული ლექციების ციკლი ქ. სოხუმსა და ქ. თბილისში;
- ქართველი და აფხაზი ექიმების სასწავლო ვიზიტი და ტრენინგი ნარკოტიკული დამოკიდებულის პრევენციისა და მკურნალობის საკითხებზე ქ. ბერლინში; ევროსაბჭოს ექსპერტების ვიზიტი თბილისსა და სოხუმში მომავალი საჭიროებების განსაზღვრისა და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის საკითხებზე;

- ქართველი და აფხაზი ფსიქიატრებისა და ფსიქოლოგების ტრენინგი ტრავმირებულ ბავშვებთან მუშაობის საკითხებზე ქ. ბუდაპეშტში;
- ქართველი და აფხაზი არქივების სპეციალისტების მორიგი შეხვედრები საბჭოთა პერიოდის არქივების გაცვლისა და ერთობლივი პუბლიკაციის გამოცემის თემაზე ქ. ერევანში, ქ. ტალინში და ქ. პარიზში;
- ქართველი და აფხაზი მასწავლებლების მორიგი ვორქშოპი უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით ქ. გრაცში;
- ქართველი და აფხაზი ომბუდსმენების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შეხვედრა ადამიანის უფლებათა დარღვევების საკითხებთან დაკავშირებით ქ. ბუდაპეშტში და ქ. ვენეციაში;
- აფხაზური ენის მცოდნე ქართველი და აფხაზი სპეციალისტების ორი ტრენინგი სინქრონული თარგმანის ტექნიკაში ქ. ბუდაპეშტში
- ქართველი და აფხაზი მუზეუმის ექსპერტების შეხვედრა მუზეუმის მენეჯმენტის საკითხებზე ქ. ბუდაპეშტში;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მონახულება ქ. გუდაუთაში და აღნიშნული ძეგლების აღწერის დაწყება;
- ქართველი და აფხაზი ტრენერების ტრენინგი ბავშვებისთვის ადამიანის უფლებების სწავლების თემაზე ქ. ბუდაპეშტში.

1.5. დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის კომუნიკაცია

სახელმწიფო მინისტრის აპარატი იყენებს ყველა სახის ნეიტრალურ პლატფორმას და შესაძლებლობას დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად. 2016 წლის აპრილში ლონდონში გაიმართა არაფორმალური შეხვედრა-დიალოგი ქართული და აფხაზური საზოგადოების წარმომადგენლების, მათ შორის პოლიტიკოსების, ექსპერტების და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით. ამგვარი შეხვედრები გაიმართა ასევე ბერნში, შვეიცარიაში და ბერლინში, გერმანიაში. შეხვედრებზე განიხილეს ბოლო წლების განმავლობაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები, გაანალიზეს მიმდინარე სიტუაცია, გაცვალეს მოსაზრებები და განიხილეს საკითხები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა ცხოვრებაზე. შეხვედრაზე მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გამოეკვეთათ საზოგადოებების ინტერესები და პოზიციები, აგრეთვე, არსებული გამოწვევებისა და საფრთხეების მიმართ წარმოედგინათ თავიანთი ხედვები.

ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით პერიოდულად იმართება შეხვედრები ქართულ და ოსურ საზოგადოებებს შორის, მათ შორის, სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლების მონაწილეობით, სადაც მიმდინარეობს აქტუალური საკითხებისა და

პრობლემების განხილვა, მათი გადაჭრის გზების მოძიება. მსგავსი შეხვედრები შესაძლებლობას აძლევს საოკუპაციო ხაზით დაშორებულ საზოგადოების წარმომადგენლებს იქონიონ ეფექტური კომუნიკაცია და აღადგინონ ურთიერთნდობა.

1.6. გამყოფი ხაზით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა და დონორთა დახმარება

2013 წლიდან სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გამყოფი ხაზის სიახლოვეს მდებარე სოფლების დახმარებაა. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შეასრულა წამყვანი როლი მავთულხლართებისა და სხვა წინაღობების აღმართვის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათზე შემდგომ რეაგირებაში. სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა გამყოფი ხაზთან მდებარე გორის, ქარელის, კასპისა და საჩხერის მუნიციპალიტეტების 77 სოფელში არსებული მდგომარეობა და შეიმუშავა საჭიროებათა შეფასების დოკუმენტი.

ს2013 წლიდან ფუნქციონირებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია, რომლის თანათავმჯდომარეები არიან შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი. კომისიის წევრები პირადად ჩავიდნენ გამყოფი ხაზის მიმდებარე თემებში და შეხვდნენ 48 სოფლის ადგილობრივ მოსახლეობას. კომისიის მუშაობის შედეგად:

- 2016 წლის ზამთრის პერიოდში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობას (გორის, კასპის, ონის, საჩხერეს, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტები) 12 261 ოჯახს (50 სოფელი) გათბობით უზრუნველსაყოფად გადაეცა 200 ლარიანი ვაუჩერი, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 2 452 200 ლარი;
- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული ოჯახების 751 სტუდენტს, რომლებიც ჩარიცხული არიან ბაკალავრიატის და მაგისტრატურის პროგრამებზე, დაუფინანსდა 2015-2016 სასწავლო წლის სწავლის საფასური. განათლების სამინისტროს წარდგინებით კომისიამ ასევე მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2016-2017 სასწავლო წელს გამყოფი ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლა კვლავ დაფინანსდეს;
- სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა და საკომუნიკაციო საშუალებებით აღიჭურვა სკოლები, განახლდა სასკოლო ბიბლიოთეკები. განხორციელდა 600-ზე მეტი მოსწავლის სასკოლო ტრანსპორტით უზრუნველყოფა;

- პროგრამა "ჩემი პირველი კომპიუტერი"-ს ფარგლებში 2016 წელს დარიგდა პირველკლასელთა მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პორტაბელური კომპიუტერები (ბუკი);
- პროგრამა "ჩემი პირველი კომპიუტერი" - ფარგლებში კომპიუტერები გადაეცათ წარჩინებულ მოსწავლეებს;
- 2016 წელს, საჯარო სკოლებში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების შეყვანა განხორციელდა გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში, კერძოდ, კარალეთში, ზერტში, ტყვიავში, მეჯვრისხევში, ხელთუბანში, ფლავისმანში და ატენში;
- 9 სოფელში მოეწყო სასმელი წყლის ჭაბურღილები. დამატებით მიმდინარეობს კიდევ 15 სოფლის წყალმომარაგების სისტემის სრული რეაბილიტაცია;
- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის რვა (ზემო სობისში, დიცში, მერეთში, ქორდიში, წითელუბანში, ფლავისმანში, ფხვენისში, ფლავში) და კასპის მუნიციპალიტეტის ორ (ხვითიში და ბოჭამში) სოფელში განხორციელდა წყალმომარაგების სისტემის კომპონენტების - ჭაბურღილების, წყლის გაუსწებოვნების სისტემების და სარეგულაციო მოცულობების მოწყობა. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული სოფლებიდან თითქმის ყველგან, ნაწილობრივ ან/და სრულად არსებობს წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელი. დამატებით მოეწყობა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელუბანში წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელი;
- დასრულდა 58 სოფლის გაზიფიცირება. განხორციელებულია გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეთა დაერთება გაზის ქსელზე და აბონენტად დარეგისტრირება. საერთო ჯამში გაზიფიცირებულია 11 500 აბონენტი.
- საგანგებო სიტუაციების მართვის შესაძლებლობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამასა (UNDP) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე სამინისტროს გადმოეცა რეანიმობილი და სამედიცინო დანიშნულების აღჭურვილობა საერთო ღირებულებით - 68, 750 აშშ დოლარი, რომელიც განკუთვნილია აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიის საზღვრისპირა რაიონში ოპერირებისათვის. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავში სრულდება კლინიკის მშენებლობა, რომელიც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვება.
- ევროკავშირის მხარდაჭერით მომზადდა ვიდეო რგოლი „ცხოვრება მავთულხლართებთან“, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებას წარედგინა 2016 წლის ივლისში, კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“ ფარგლებში.

II. სამოქალაქო თანასწორობა და ინტეგრაცია

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინირებას უწევს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, მის განხორციელებას და ანგარიშგებას. ზემოაღნიშნული პოლიტიკის მიზანია ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა, საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის უზრუნველყოფა, ტოლერანტული გარემოს დამკვიდრებისა და განმტკიცების ხელშეწყობა. საქართველოს მთავრობამ 2015 წლის 17 აგვისტოს #1740 განკარგულებით დაამტკიცა „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა, რაც წარმოადგენს სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ძირითად მექანიზმს. სტრატეგია ეყრდნობა თანასწორობის პრინციპს და მიდგომას „მეტი მრავალფეროვნება, მეტი ინტეგრაცია“ და მიზნად ისახავს თანასწორი გარემოს ჩამოყალიბებას, ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვან თანამონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; მათი კულტურისა და იდენტობის დაცვას.

2016 წლის განმავლობაში გაგრძელდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესი; სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობა წარიმართა სტრატეგიით განსაზღვრული ოთხი პრიორიტეტული მიზნის ფარგლებში:

- თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა;
- ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება;
- ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით საქმიანობა განაგრძო სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით შექმნილმა სახელმწიფო უწყებათაშორისმა კომისიამ. საანგარიშო პერიოდში გაიმართა კომისიის სხდომები, გასვლითი სხდომები, სამუშაო შეხვედრები, თემატური დისკუსიები და კონსულტაციები, შემუშავდა რეკომენდაციები. აგრეთვე, კომისიაში წარმოდგენილ შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით მომზადდა 2015 წლის საქმიანობის შესრულების ანგარიში და 2016 წლის სამოქმედო გეგმა. მომზადებული ანგარიშები წარედგინა მთავრობას, ასევე სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს, სამოქალაქო სექტორს, საერთაშორისო ორგანიზაციებს. გარდა ამისა, საქმიანობა წარიმართა კომისიაში ჩამოყალიბებული თემატური სამუშაო ჯგუფების ფარგლებშიც. თემატურ სამუშაო ჯგუფების ფარგლებში სხვადასხვა აქტუალური საკითხების განხილვისას აქტიური მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ექსპერტებმა, ასევე, სფეროში მომუშავე სხვა დაინტერესებულმა აქტორებმა. საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით აქტიური იყო

სამუშაო პროცესი „მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის“ და „მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების“ თემატურ ჯგუფებში.

2.1. სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა

2016 წელს ჩატარებული საქართველოს პარლამენტის არჩევნების ფონზე მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა არჩევნებში თანასწორი და აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით აქტიურად განაგრძობდა საქმიანობას საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო). განხორციელდა რიგი ღონისძიებები:

- ეთნიკური უმცირესობების ენებზე ითარგმნა და დაიბეჭდა ყველა საჭირო მასალა;
- ცესკოს მიერ მომზადებული ყველა საინფორმაციო-სარეკლამო ვიდეო რგოლი საზოგადოებრივი მაუწყებლისა და რეგიონული ტელევიზიების ეთერში განთავსდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;
- განხორციელდა ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა მომზადება საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით. (საქართველოს მასშტაბით, ტრენინგები ჩატარდათ საუბნო საარჩევნო კომისიის 47 341 წევრს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ 2 714 წევრს).
- ცესკომ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო უფლებებზე მომუშავე რვა არასამთავრობო ორგანიზაციას და სხვა;

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ცესკოს ინიციატივით და 13 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების ორგანიზებით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების 51 სოფელში პირველად განხორციელდა ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია, რომლის ფარგლებში გაიმართა იმიტირებული - „ხმის მიცემის პროცედურა“. სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ამომრჩევლებისთვის მოეწყო იმიტირებული კენჭისყრის პროცესი, რაც მათ მიერ საარჩევნო უფლებების სრულყოფილად რეალიზების ხელშეწყობას ემსახურებოდა.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობას, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ცნობიერების ამაღლების კამპანიას ამ მიმართულებით, მათ ჩართულობას შესაბამის სემინარებსა და შეხვედრებში, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლები.

2.2. მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიის ფარგლებში მცირერიცხოვანი და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერის მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოში მცხოვრები ბოშათა თემის მდგომარეობის/პრობლემების განხილვას და გადაწყვეტის გზების ძიებას.

"სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის" ფარგლებში განხორციელდა რიგი ღონისძიებები, რომელიც მიზნად ისახავდა ინკლუზიური სწავლებისათვის შესაბამისი და ბოშების მიმართ კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას; საერთაშორისო დონეზე არსებული ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, ბოშების კულტურის შენარჩუნებისა და თვითმყოფადობის დაცვის მიზნით შემუშავდა ტრენინგ მოდული, რამაც მოზარდებში გაზარდა ბოშების მიმართ მიმღებლობა; დაიგეგმა შეხვედრები, მომზადდა საკონფერენციო პრეზენტაციები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა ბოშათა რეგისტრაციის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს 2011 წლიდან; გატარდა შესაბამისი პროცედურები დაბადების რეგისტრაციასთან, მოქალაქეობასთან და ასევე, პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების მიზნით.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ლინგვისტური უფლებების დაცვას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N1255 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, ოსურ, ხუნძურ, უდიურ, ასურულ დაქურთულ ენებთან ერთად დაინერგა ასევე ჩეჩნური ენის სწავლება.

აღსანიშნავია, რომ აფხაზური ენის სწავლება მიმდინარეობს საქართველოში მოქმედ ხუთ საჯარო სკოლაში, ხოლო ოსური ენის სწავლება ექვს საჯარო სკოლაში.

2.3. გენდერული მენისტრიმინგი

2016 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა სხვადასხვა თემატური საინფორმაციო ხასიათის არაერთი შეხვედრა. შეხვედრებზე ყურადღება იყო გამახვილებული მათ შორის გენდერული თანასწორობის, ადრეული ქორწინების საკითხებზე.

გარდა ამისა, სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოში მოქმედი მშვიდობის ფონდის ორგანიზებით ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ქალთა უფლებები და ჩართულობა“. ასევე, გარდაბანში გაიმართა ოთხი შეხვედრა ადგილობრივ მასწავლებლებთან ქალთა აქტიურ მონაწილეობის საკითხზე.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით და იუსტიციის სამინისტროს ჩართულობით მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოს საზოგადოებრივ ცენტრში გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან ადამიანით ვაჭრობის, ოჯახში ძალადობისა და ეთნიკური უმცირესობების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

2.4. მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გადადგა კონკრეტული პოზიტიური ნაბიჯები:

2016 წლის 22 აგვისტოდან ყოველდღე საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო გამოშვება “მომბე“ 18:00 და 20:00 საათზე, რომელიც პარალელურ რეჟიმში გადის მეორე არხის ეთერშიც, გადაიცემა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენის მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით. გაგრძელდა სხვა სატელევიზიო პროგრამების ტრანსლირება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა ყოველკვირეული რადიო-გადაცემა „ჩვენი საქართველო“, რომელშიც შუქდება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების დღესასწაულები, კულტურული თავისებურებები, ტრადიციები, გამოწვევები.

2016 წლის განმავლობაში სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე სინქრონულად ნათარგმნი “მომბის” გამოშვებები იწერებოდა რადიოს სტუდიაში და გადაიცემოდა პირველი რადიოს ეთერში; ასევე, რადიო 2-ის ეთერში გაგრძელდა ქურთულენოვანი ყოველკვირეული საინფორმაციო-შემეცნებითი-გასართობი გადაცემა.

წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხარდაჭერით გამოიცა სომხურენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „ვრასტანი“ (52 ნომერი; ტირაჟი 4000 ცალი) და აზერბაიჯანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „გურჯისტანი“ (53 ნომერი, ტირაჟი 2000 ცალი). გაზეთები გავრცელდა როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაწესებულებებში.

2.5. განათლება და სახელმწიფო ენა

განათლების თითოეული საფეხური ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. უზრუნველყოფილია ასევე, ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე განათლების მიღების შესაძლებლობა (აზერბაიჯანული, სომხური, რუსული).

საქართველოში ფუნქციონირებს 298 არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და 81 არაქართულენოვანი სექტორი. მათ შორის - 118 აზერბაიჯანულენოვანი, 131 სომხურენოვანი, 49 რუსულენოვანი სკოლები. ასევე ქართულ-აზერბაიჯანული სექტორი - 32, ქართულ-რუსული

სექტორი - 42, ქართულ-სომხური სექტორი-10, ქართულ-აზერბაიჯანულ-რუსული სექტორი - 1, ქართულ-რუსულ-სომხური სექტორი-1.

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განაგრძო მუშაობა ეთნიკური უმცირესობების ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. ამ მიმართულებით გადაიდგა არაერთი ნაბიჯი, კერძოდ მომზადდა და დამტკიცდა “ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ” კანონი; შემუშავდა განათლების ხელმისაწვდომობის ერთიანი სტრატეგიული დოკუმენტი „განათლების პოლიტიკა საზოგადოების ინტეგრაციისთვის“. ყურადღება დაეთმო არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებას.

„საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამა, რომელიც ხორციელდება 2015 წლიდან, გაგრძელდა და მისი მოქმედების არეალი გაფართოვდა: 2016 წელს პროგრამამ მოიცვა არაქართულენოვანი საჯარო სკოლების მოსწავლეები და ქართულენოვანი საჯარო სკოლების ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები.

2.5.1 უმაღლესი განათლება

2010 წლიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს საშუალება აქვთ მიიღონ უმაღლესი განათლება გამარტივებული წესით. გამარტივებული სისტემა, ე.წ. „1+4 პროგრამა“ ითვალისწინებს ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარებას აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და სათანადო ქულების დაგროვების შემთხვევაში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას. ახალგაზრდები ერთი წლის განმავლობაში გადიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო კურსს და შემდგომ 60 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში აგრძელებენ სწავლას მათთვის სასურველ ფაკულტეტზე. 2016-2017 აკადემიური წლისთვის გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა წარადგინა აფხაზურენოვანი ზოგადი უნარების ტესტი, რაც შესაძლებლობას აძლევს აფხაზურენოვან აბიტურიენტებს ჩაერთონ პროგრამაში და უკვე აფხაზურ ენაზე ჩააბარონ მისაღები გამოცდები გამარტივებული ფორმით. ოსურენოვანი ახალგაზრდებისთვის პროგრამა სრულფასოვნად ამოქმედდა 2015-2016 სასწავლო წლიდან.

2016 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 960 აბიტურიენტმა აქედან: ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე 660; (სახელმწიფო გრანტით დაფინანსდა 99 აბიტურიენტი), ხოლო ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე 300 აბიტურიენტმა (სახელმწიფო გრანტით დაფინანსდა 95 აბიტურიენტი).

2.5.2 პროფესიული განათლება

პროფესიული განათლება ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. ამ მიმართულებით აქტიურ საქმიანობას ეწევა სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, რომლის მიზანია საჯარო სამსახურში კვალიფიციური კადრების დეფიციტის დაძლევა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ და მაღალმთიან რეგიონებში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების გზით, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სახელმწიფო ენის სწავლება და მათი ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაცია.

წლის განმავლობაში სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ განახორციელა „საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების“ და „სახელმწიფო ენის სწავლების“ პროგრამები.

„საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების“ პროგრამის ექვსი დარგობრივი მიმართულების (სახელმწიფო შესყიდვები; საჯარო ორგანიზაციების მართვა; ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება საჯარო სექტორში; საჯარო ფინანსების მართვა; საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია; ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობა) ფარგლებში 2016 წელს სწავლება გაიარა 191-მა მსმენელმა.

პროგრამის ფარგლებში შემუშავდა და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განხორციელდა ახალი კურსები: „საქართველო და ევროატლანტიკური ინტეგრაცია“, „ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობა“ და სხვა.

2.5.3 სახელმწიფო ენა

სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხი კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. შესაბამისად, სახელმწიფო განაგრძობს სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების განხორციელების გზით ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლებას განათლების ყველა საფეხურზე. გარდა ამისა, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საჯარო მოხელეები, არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლები და ზოგადად, ნებისმიერი დაინტერესებული პირი. არაქართულენოვან სკოლებში ხორციელდება „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამა“. პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების გზით. ასევე, პროგრამა ორიენტირებულია (2016-2019წწ.) არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების როგორც საგნობრივი გამოცდებისთვის მომზადებაზე, ისე მათთვის სახელმწიფო ენის შესწავლაზე. საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა რიგი ღონისძიებები: დამტკიცდა მასწავლებლის თვითშეფასების ახალი კითხვარი, რომელიც ითარგმნა აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე და განთავსდა სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე. აზერბაიჯანულ და რუსულ ენაზე ითარგმნა ასევე, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ტრენინგ პროგრამები და

მასთან დაკავშირებული სხვა სატრენინგო მასალა. გადამზადნენ აზერბაიჯანულენოვანი მასწავლებლები ისეთ საგნებში, როგორიცაა ფიზიკა, ისტორია, მათემატიკა.

ამ მიმართულებით საქმიანობა განაგრძო სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლამ, რომელმაც განახორციელა „სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა“. პროგრამის ფარგლებში საჯარო სექტორში დასაქმებულ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამხარეო ადმინისტრაციების, განათლების სამინისტროს რესურცენტრების, საჯარო სკოლების თანაშრომლებსა და ასევე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ეძლევა უფასოდ დაესწრონ ქართული ენის გაკვეთილებს.

2.6. სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებისა და სოციალური დახმარების შესახებ. ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადდა და დარიგდა სხვადასხვა შინაარსის მასალები.

გაგრძელდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც ითვალისწინებდა გაზიფიკაციას, შიდა გზების, საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემების, გარე განათების რეაბილიტაციას და სხვა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 40 პროექტი საერთო ღირებულებით 15 450 642 ლარი.
- სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ახალციხის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 5 პროექტი ღირებულებით 9 417 020 ლარი.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 410 პროექტი საერთო ღირებულებით 3 665 668 ლარი.

ქვემო ქართლის რეგიონი

- ქვემო ქართლის რეგიონში პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 57 პროექტი საერთო ღირებულებით 23 269 781 ლარი.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 436 პროექტი საერთო ღირებულებით 6879074 ლარი.
- სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დმანისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 4 პროექტი ღირებულებით 5 390 708 ლარი.

- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ დმანისისა და წალკის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 პროექტი ღირებულებით 816 001 ლარი.

კახეთის რეგიონი

- კახეთის რეგიონში (ლაგოდეხისა და ახმეტის მუნიციპალიტეტები) პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 19 პროექტი საერთო ღირებულებით 5 511 190 ლარი.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 209 პროექტი საერთო ღირებულებით 1 849 276 ლარი.
- სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 პროექტი ღირებულებით 970 301 ლარი.

2.7. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა სხვადასხვა პროგრამების/პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავდა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დაცვა-განვითარებასა და პოპულარიზაციას.

კულტურული თვითგამოხატვის ხელშეწყობისა და ქართულ სივრცეში შემდგომი ინტეგრირების მიზნით მნიშვნელოვანი იყო მუზეუმებისა და თეატრების საქმიანობის ხელშეწყობა.

ეთნიკური უმცირესობების თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით გაიმართა კულტურული ღონისძიებები. მათ შორის აღსანიშნავია, მულტიეთნიკური ხელოვნების ფესტივალი „კულტურათა დიალოგი - ერთი ცის ქვეშ“, რომელსაც სახელმწიფო მინისტრის აპარატი კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროებთან თანამშრომლობით ახორციელებს. საანგარიშო პერიოდში ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ორი კონცერტი (ქ. გორში და ქ. ბათუმში). ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ქვემო-ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელოს, გურიის, იმერეთის, აჭარის რეგიონების ახალგაზრდებმა.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის, მატერიალური და არამატერიალური კულტურული ფასეულობების დაცვის საკითხს.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული ღონისძიებები:

- აზერბაიჯანული და სომხური ენისა და ლიტერატურის პედაგოგებისათვის მშობლიური ენის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გაიმართა ოფიციალური მიღება.

- ამასთანავე, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ჩეჩენი და ინგუში ხალხის დეპორტაციის 72 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო. საღამოს სხვადასხვა სამეცნიერო წრის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და პანკისის ხეობიდან ჩამოსული სტუმრები დაესწრნენ;
- ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. კონცერტში მონაწილეობდნენ ახალგაზრდები თბილისიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, ქვემო ქართლიდან, შიდა ქართლიდან და კახეთიდან.
- საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა კავკასიელი ხალხების მუჰაჯირობის დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა;
- ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ჩაატარა ლექცია/სემინარები თბილისსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ადგილობრივ სტუდენტებთან; კვირეულის ფარგლებში აპარატის ორგანიზებითა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა ფოტოკონკურსი „ჩვენი მრავალფეროვანი სამშობლო“.
- გაიმართა შეხვედრები ყვარლის მუნიციპალიტეტების სოფლების თივის, ჩანტლისყურისა და სარუსოს, ასევე თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ყარაჯალას საჯარო სკოლების პირველკლასელებთან, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. კასრისწყლის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. აპარატის თანამშრომლებმა ბავშვებს ფოლკლორულ-შემეცნებითი ხასიათის საბავშვო ლიტერატურა გააცნეს. საქართველოს გაეროს ასოციაციის მხარდაჭერით სკოლის ბიბლიოთეკებს წიგნები, ხოლო მოსწავლეებს საკანცელარიო ნივთების ნაკრები გადაეცათ საჩუქრად.

2.8. საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ

სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ახორციელებს საინფორმაციო კამპანიას საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესისა და მისგან გამომდინარე სარგებლის შესახებ:

- გაიმართა არაერთი შეხვედრა-დისკუსია ევროინტეგრაციის საკითხებზე, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, თბილისში; ქვემო ქართლში (მარნეული, დმანისი, წალკა); სამცხე-ჯავახეთში (ახალქალაქი, ახალციხე, ნინოწმინდა); კახეთში (პანკისის ხეობა), სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან: სტუდენტებთან და უფროსკლასელებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ფერმერებთან; ასევე, რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან.
- წლის განმავლობაში, მომზადდა საინფორმაციო მასალები საქართველოს ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის შესახებ ქართულ, აფხაზურ, ოსურ, რუსულ, სომხურ და

აზერბაიჯანულ ენებზე. საინფორმაციო მასალები სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ და ქართულ ენებზე გავრცელდა სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში.

- საანგარიშო პერიოდში მომზადდა საინფორმაციო ხასიათის ვიდეორგოლები ევროინტეგრაციის თემაზე (DCFTA-ის და განათლების საერთაშორისო პროგრამების შესახებ) აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, სომხურ ენებზე. ვიდეორგოლები განთავსდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში (Facebook). ამასთანავე, განხორციელდა პრეზენტაცია ეთნიკური უმცირესობების, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.
- სამხარეო ადმინისტრაციების მხარდაჭერით, გამოცდების ეროვნული ცენტრის, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციისა და სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიების მონაწილეობით ახალციხესა და მარნეულში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები ადგილობრივ ახალგაზრდებთან. მათ მიეწოდათ ინფორმაცია განათლების სისტემაში არსებულ სიახლეებთან დაკავშირებით, მათ შორის, იმ შესაძლებლობებზე, რასაც ევროინტეგრაციის პროცესი განათლების სფეროში სთავაზობს ახალგაზრდებს.
- ასევე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით, კახეთის რეგიონში, საგარეჯოში, ადგილობრივ ფერმერებთან გაიმართა შეხვედრა ევროინტეგრაციის პროცესში სოფლის მეურნეობის მიმართულებით ქვეყანაში არსებული სიახლეების, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებასთან დაკავშირებული პოზიტიური ცვლილებების თაობაზე.

2.9. საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება

საქართველო სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების დაცვის კუთხით ასრულებს საერთაშორისო ვალდებულებებს:

- რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს (CERD) წარედგინა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის შესრულების ანგარიში, რომლის განხილვაც 2016 წლის 1-2 მაისს გაიმართა.
- მრჩეველთა კომიტეტმა, გასული წლის იანვარში გამოაქვეყნა საქართველოს მიერ ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის შესრულების შესახებ მეორე პერიოდული ანგარიში;

აღნიშნულ ანგარიშებში დაფიქსირებულია სახელმწიფოს მიერ მიღწეული პროგრესი ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით.

2016 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა სამოქალაქო სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან, სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან. გარდა ამისა, სახელმწიფო მინისტრის აპარატს მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობასთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ამავდროულად, სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენლები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში კოორდინირებას უწევდნენ აპარატის საქმიანობას ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში.

2016 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების, ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელების მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერა ხორციელდებოდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.